



განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი  
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

**განვითარების და დემოკრატიის ცენტრის (CDD-ს) ინიციატივითა და ორგანიზებით 24 – 29 ნოემბერის ჩათვლით ვაშინგტონს მაღალი იერარქიის სასულიერო პირები ეწვევიან.**

ვიზიტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მუსლიმთა თემის, ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ეკლესია და სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში, 28 ნოემბერს გაიართება საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მთავარი თემები იქნება: რელიგიის როლი დემოკრატიაში და ანტიდასავლური პროპაგანდა; კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ რელიგიური ლიდერები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. ვიზიტის ფარგლებში, სასულიერო პირები შეხვდებიან სამოქალაქო სექტორის, აკადემიური წრეების, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენებს. მათ შორის: სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს სახალხო დიპლომატიის საკითხებში, შერონ ჰადსონ დინს; NED-ის (ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის) პრეზიდენტს, კარლ გერშმანს; სახელმწიფო მდივნის ყოფილ თანაშემწეს ევროპაში, სამხრეთ და ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და შრომის განხრით, ტომას მელიას; საქართველოში აშშ-ს ყოფილ ელჩს რიჩარდ მაილსს; საზღვაო ქვეითების მთავარ კაპელანს, ვიცე-ადმირალ ბრენტ სკოტს; აშშ-ში საქართველოს ელჩს დავით ბაქრაძეს და სხვა.

დელეგაცია ეწვევა თეთრ სახლს, კონგრესის ბიბლიოთეკასა და მონახულებს იქ დაცულ ქართულ არქივს, შეხვდებიან ქართველი დიასპორის წარმომადგენლებს. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები აშშ-ს კონგრესმენებთან.

პროექტს CDD-ი საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. შემსწავლელი ვიზიტისა და საერთაშორისო ინტერ-რელიგიური კონფერენციის მხარდამჭერები არიან: NED-ი (ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის), აშშ-ში საქართველოს საელჩოს, საქართველოში აშშ-ის საელჩო, ევროპულ და ევროალტანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი.

**საკონტაქტო პირი: ნინკო ბოჯგუა - 577 191417**

## საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

1. ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (გურამ ბერბიჭაშვილი) გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს საპატრიარქოს ფოთის ახალი საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი.
2. ახალციხისა და ტაო კლარჯეთის მიტროპოლიტი, თეოდორე (დიმიტრი ჭუაძე), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი
3. ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (გიორგი შარაძენიძე), საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე.
4. ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი საბა (ზაზა გიგინეიძე), რელიგიური ტურიზმის (სამომლოცველო) დეპარტამენტის თავმჯდომარე.
5. ბოდბელი ეპისკოპოსი, ქორეპისკოპოსი იაკობი (კონსტანტინე იაკობიშვილი), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თბილისის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტში.
6. რუსთველი მიტროპოლიტი იოანე (გურამ გამრეკელი), წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. განათლების ცენტრის თავმჯდომარე
7. ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონი (რუსლან ბულუხია)
8. გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (ამირან გვაზავა)
9. სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი იეგუდიელი (გოჩა ტაბატაძე)
10. მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი (არკადი ხაჩიძე)
11. ბორჯომისა და ბაკურიანის ეპისკოპოსი ლაზარე (დიმიტრი სამადბეგიშვილი)
12. ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი საბა (ინწკირველი)

## მუსლიმთა თემი

1. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, შეიხი ჰაჯი რამინ იგიდოვი
2. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, მუფთი ჰაჯი ბეგლარ ქამაშიძე

## ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ეკლესია

- ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

## სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია

- საქართველოს ეპარქიის ეპისკოპოსი, ვაზგენ მირზახანიანი

### **ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი**

- სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, პაპუნა შენგელაია

### **ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი**

- ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე, გიორგი ფარეშიშვილი

### **განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)**

- განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ქეთევან ჩაჩავა
- განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის თავმჯდომარე, მიხეილ მირზიაშვილი
- განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის დამფუძნებელი, არჩილ ყანჩაველი
- განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის კომუნიკაციის დირექტორი, ნინო ბოჯგუა